რედაქტორისგან

ყველანი ვთანხმდებით, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა განათლებული საზოგადოების აღზრდისა და განათლების სისტემის წარმატებისთვის.

მასწავლებლის პროფესიის რეგულირების გზაზე სხვადასხვა გზა და საშუალება მოისინჯა, რათა მასწავლებელს დავხმარებოდით პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ ზრდაში.

ჩვენმა მცდელობებმა, ბუნებრივია, ნაწილობრივ გაამართლა, მაგრამ კვლევებმა და მიღწეულმა შედეგებმა დაგვანახვა, რომ მხოლოდ გარედან შეთავაზებულ პროგრამებში მასწავლებელთა ნაწილის ფრაგმენტული მონაწილეობა სკოლაში საგანმანათლებლო გარემოს ძნელად შეცვლის. მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების დადგენა და მათზე ოპერატიული რეაგირება, უპირველეს ყოვლისა, სკოლაშივე უნდა მოხდეს. ამიტომაც გადაწყვიტა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, სკოლებს და მასწავლებლებს დეცენტრალიზებული მოდელი – სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, დანერგვა და განხორციელება შესთავაზოს. ეს მოდელი გულისხმობს იმ საქმიანობათა ერთობლიობას, რომელთაც თავად სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებისთვის.

პროგრამის ფარგლებში, სკოლებზე პასუხისმგებლობის დელეგირებისა და ავტონომიურობის ზრდის პირობებში, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებები დადგინდება და სკოლის დონეზე მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას შეეწყობა ხელი. რაც საკუთარი პროფესიული განვითარების დაგეგმვაში, წარმართვასა და შეფასებაში მასწავლებელთა მონაწილეობისა და პასუხისმგებლობის გაზრდას შეუწყობს ხელს და სკოლებში ურთიერთთანამშრომლობის კულტურის დამკვიდრებას განავითარებს. მასწავლებელთა საქმიანობის ხარისხის ეფექტიანობა კი ურთიერთსწავლების გზით გაიზრდება.

ჩვენი ჟურნალი და ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ რაც შეიძლება მეტი საჭირო და სასარგებლო რესურსი მოგაწოდოთ. ხშირად მოგვწერეთ თქვენს საჭიროებებზე, როგორც არაერთხელ მითქვამს, ურთიერთთანამშრომლობით უფრო სასარგებლო ვიქნებით ერთმანეთისთვის.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N1(25),2013

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 მ-374

რედკოლეგია: გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: მანანა ბოჭორიშვილი, თეო ნეფარიძე, თეო ჭყოიძე, მაია ფირჩხაძე, ირინა აბულაძე, ნინო ლაბარტყავა, მიშა გიორგაძე, მერაბ ლაბაძე, ქეთევან ქობალია, ეკატერინე შავერდაშვილი, მაია ფირჩხაძე, ნესტან რატიანი.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

53

მოსაზრება

ირინა აბულაძე

4 **შემოქმედებითი აზროვნების მნიშვნელობა და მისი განვითარება**

ეს სტატია, პირველ რიგში, სწორედ მასწავლებლებისთვის არის განკუთვნილი, თუმცა მშობლებისათვისაც საინტერესო იქნება იმის შეტყობა, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი მოზარდს შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში. კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, რა სტრატეგიებს მივმართავთ ყოველდღიურად.

ნინო ლაბარტყავა

20 **სწავლა-სწავლების თავისებურება კლას-კომპლექტებში განათლების დაწყებით საფეხურზე**

დამოუკიდებელი მუშაობის გარდა კლას-კომპლექტებში მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი სწავლება, რომელიც შემდეგი ფორმით შეიძლება ხორციელდებოდეს: ურთიერთსწავლებით, ჰეტეროგენული და ჰომოგენური ჯგუფების ფორმირებით, მასწავლებლის „დამხმარეებით“.

მიშა გიორგაძე

41 **გერმანულის როგორც მეორე უცხო ენის სწავლების პერსპექტივები**

ენებს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების გაცნობიერება ხელს უწყობს მოსწავლის გააქტიურებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. იგი ფიქრობს, აანალიზებს, ათანხმებს შედეგებს ჯგუფში ან მასწავლებელთან. ასეთი მოსწავლე თავად არის აღმომჩენი.

გამოცდილება

მანანა ბოჭორიშვილი

12 **ჯერომ ბრუნერი და აღმოჩენებით სწავლის თეორიის მნიშვნელოვანი კონცეპტები**

იმისათვის, რომ მოსწავლემ საგანი ნამდვილად კარგად შეისწავლოს და გაიაზროს, მან აუცილებლად უნდა შექმნას საკუთარი კოდირების სისტემა – საკუთარი წარმოდგენები ამ მნიშვნელოვან იდეებსა და დამოკიდებულებებზე.

გლობალური სკოლა

მერაბ ლაბაძე

37 **საგანმანათლებლო ტექნოლოგიების თანამედროვე ტენდენციები**

ინტერნეტში არსებული ინფორმაციის ზრდასთან ერთად იზრდება საგანმანათლებლო მასალების რაოდენობაც. თანამედროვე ტენდენციებიდან აღსანიშნავია მულტიმედია სასწავლო რესურსების კოლექციების გამდიდრება. ვიდეომასალა ახლა თითქმის უკვე ყველა თემისა და ყველა საფეხურისთვის არსებობს.

ექსპერტი

ქეთევან ქობალია

45 **ბავშვის ფიზიკური მზაობა სკოლისათვის**

ოჯახი და პედაგოგები სისტემატურად უნდა ზრუნავდნენ სკოლაში სწავლისათვის ბავშვის მომზადებაზე. მათ უნდა შეაჩვიონ ბავშვი, რომ დაიცვას ცხოვრების ჯანსაღი წესი და მიაღწიოს განვითარების ისეთ დონეს, რომელიც უზრუნველყოფს იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლებას, რაც აუცილებელია სკოლის სასწავლო პროგრამის წარმატებით დაძლევა-ათვისებისათვის.

შინაარსი

37

რესურსი

8 | **მასწავლებელთა ურთიერთდაკვირვება**
თეო ნეფარიძე

პროფესიული განვითარების სხვა მეთოდებთან შედარებით, მასწავლებელთა ურთიერთდაკვირვების მეთოდის უდიდესი უპირატესობა ის არის, რომ სწავლების უშუალო მონიტორინგის და, შესაბამისად, მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე ზეგავლენის შესაძლებლობას ქმნის.

16 | **თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილი**
ეკატერინე შავერდაშვილი

ქართველი მასწავლებლების დიდი ნაწილი ცდილობს, გამოიყენოს მსოფლიოში უკვე კარგად დანერგილი კომუნიკაციაზე ორიენტირებული მეთოდები, რაც, უპირველეს ყოვლისა, ეფექტურ შედეგებსა და მოსწავლეზეა ორიენტირებული.

25 | **ისტორიული მოვლენისა და ისტორიული დროის სტრუქტურირება სასწავლო პროცესში**
მაია ფირჩხაძე

რატომ ვასწავლით ბავშვებს ისტორიას? რა არის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს კითხვებზე: რა? სად? როდის? – პასუხის გაცემა, თუ მას უნდა შეეძლოს ისტორიული ცოდნის კონსტრუირება? ცხადია, კონკრეტული შემთხვევების მიხედვით მეთოდებიც და შედეგებიც სხვადასხვა იქნება.

33 | **როგორ შევასრულებინოთ ბავშვებს საშინაო დავალება**
დები პინკუსი

სიტყვები „მე მხოლოდ შენს დახმარებას ვცდილობ“ ბავშვმა შეიძლება ასე გაიგოს: „შენ სუსტი ხარ“. ნაცვლად ამისა, თქვენი მესიჯი ასეთი უნდა იყოს: „მე ვიცი, რომ შენ შეგიძლია ამის გაკეთება და საკმაოდ მჯერა შენი შესაძლებლობების, რათა თავისუფალი არჩევანის საშუალება მოგცე“.

49 | **ტექსტად გადმოტანილი სქოლიო**
ნესტან რატიანი

ჩვენი, მასწავლებლების, ჩატარებული გაკვეთილებიც ხომ ზეპირი სქოლიოები და მარგინალიებია. ისეც ხდება, რომ მოსწავლეებს ჩვენ მიერ გაკეთებული სქოლიოები უფრო ამახსოვრდებათ. ამიტომაც უნდა ვიყოთ ფრთხილად, არ შეგვეშალოს, თუმცა ეს სიტყვაც (sc. შეგვეშალოს) პირობითია.

27-30

რჩევები

53 | **ინტერნეტწყაროების სანდოობის შეფასება**
თეო ჭყოიძე

ინტერნეტი მოიცავს როგორც ღირებულ, მაღალი ხარისხის ინფორმაციულ წყაროებს, ასევე, ბევრ არასანდო, მიკერძოებულ და სიმართლესთან შეუსაბამო მასალასაც. ინფორმაციის მრავალფეროვნება ინტერნეტის მახასიათებელია, რასაც მასზე ღია წვდომის შესაძლებლობა და ნებისმიერი მასალის თავისუფლად გავრცელება ქმნის.